

# სამართლებრივი ადვოკატთა ასოციაცია GEORGIAN BAR ASSOCIATION

## WWW.GBA.GE



### GBA-Newsletter

### 0860სი 2016

ადვოკატის საქმიანობაში უკანონო ჩარევა სისხლის  
სამართლის წესით დასჯადი გახდა



პატივცემულო კოლეგებო! როგორც მოგეხსენებათ დიდი ბრძოლის შედეგად მივაღწიეთ, რომ საადვოკატო საქმიანობისთვის ხელის შეშლა გამხდარიყო სისხლის სამართლის დანაშაული. პატივცემულო ადვოკატებო ! უნდა ვიბრძოლოთ, რათა საკანონმდებლო ცვლილებები არ დაჩეს მხოლოდ ფურცელზე . ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე მოგმართავთ თხოვნით ყველა კოლეგას, ადვოკატის მიმართ განხორციელებული ნებისმიერი უკანონობის შემთვევაში, სასწარაფოდ დამიკავშირდით პირადად ზაზა ხატიაშვილს.

სისხლის სამართლის კოდექსის 364 -ე მუხლის თანახმად დაცვის განხორციელებისთვის ხელის შეშლის მიზნით ადვოკატის საქმიანობაში ამა თუ იმ ფორმით უკანონო ჩარევა გახდა სისხლის

სამართლის დანაშაული. სისხლის სამართლის კოდექსის 365-ე მუხლის თანახმად ასევე დასჯადი გახდა ადვოკატზე ან მის ოჯახის წევრზე განხორციელებული მუქარა. ვინაიდან ზოგიერთი ჩვენი კოლეგა ვერ გაერკვა საკანონმდებლო ცვლილებებში ვაქცენებ სისხლის სამართლის კოდექსის 364-ე და 365-ე მუხლების როგორც დღეისათვის მოქმედ, ასევე 2016 წლის 30 ივნისამდე მოქმედ რედაქციას.

მუხლი 364. სამართალწარმოების განხორციელებისთვის, გამოძიებისთვის ან დაცვის განხორციელებისთვის ხელის შეშლა

1. საქმის ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოძიებისთვის ხელის შეშლის მიზნით პროკურორის ან გამომძიებლის საქმიანობაში, აგრეთვე დაცვის განხორციელებისთვის ხელის შეშლის მიზნით ადვოკატის საქმიანობაში ამა თუ იმ ფორმით უკანონო ჩარევა, –

ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ას ოთხმოციდან ორას ორმოც საათამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე.

მუხლი 365. მუქარა ან ძალადობა სამართალწარმოების განხორციელებასთან, გამოძიებასთან ან დაცვის განხორციელებასთან დაკავშირებით

1. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის, მოსამართლის, მსაჯულის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ სიცოცხლის მოსპობის, ჯანმრთელობის დაზიანების ანდა ქონების განადგურების ან დაზიანების მუქარა სასამართლოში საქმის ან მასალის განხილვასთან დაკავშირებით, –

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი პროკურორის, გამომძიებლის, ადვოკატის, ექსპერტის, აღმასრულებლის, სამართალწარმოების სხვა მონაწილის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ, გამოძიებასთან, დაცვის განხორციელებასთან, სასამართლოში საქმის ან მასალის განხილვასთან ანდა განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებით, –

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.

3. ამ მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი ძალადობით, რომელიც საშიში არ არის სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის, –

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ხუთ წლამდე.

4. ამ მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი ძალადობით, რომელიც საშიშია სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის, –

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან შვიდ წლამდე.

5. ამ მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი:

ა) ჯგუფურად;

ბ) არაერთგზის, –

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან ათ წლამდე.

შენიშვნა: ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებისათვის იურიდიული პირი ისჯება ჯარიმით ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით და ჯარიმით.

30 ივნისამდე მოქმედი რედაქცია.

დანაშაული სასამართლო ორგანოების საქმიანობის წინააღმდეგ მუხლი 364.

სამართალწარმოების განხორციელებისათვის ან წინასწარი გამოძიებისათვის ხელის შეშლა (25.07.2006 N 3530) 1. სამართალწარმოების განხორციელებაზე ზეგავლენის მიზნით სასამართლოს საქმიანობაში ამა თუ იმ ფორმით უკანონო ჩარევა, – ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.

2. საქმის ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოძიებისათვის ხელის შეშლის მიზნით პროკურორის ან გამომძიებლის საქმიანობაში ამა თუ იმ ფორმით უკანონო ჩარევა, – ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ას ოთხმოციდან ორას ორმოც საათამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე.

3. ამ მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, – ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ოთხ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან უამისოდ. შენიშვნა: ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებისათვის იურიდიული პირი ისჯება ჯარიმით ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით და ჯარიმით.

მუხლი 365. მუქარა ან ძალადობა სამართალწარმოების განხორციელებასთან ან წინასწარ გამოძიებასთან დაკავშირებით (25.07.2006 N 3530)

1. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის, მოსამართლის, მსაჯულის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ სიცოცხლის მოსპობის, ჯანმრთელობის დაზიანების ანდა ქონების განადგურების ან დაზიანების მუქარა სასამართლოში საქმის ან მასალის განხილვასთან დაკავშირებით, – ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე.
2. იგივე ქმედება, ჩადენილი პროკურორის, გამომძიებლის, დამცველის, ექსპერტის, აღმასრულებლის, სამართალწარმოების სხვა მონაწილის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ, წინასწარ გამომძიებასთან, სასამართლოში საქმის ან მასალის განხილვასთან ანდა განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებით, – ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.
3. ამ მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი ძალადობით, რომელიც საშიში არ არის სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის, – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ხუთ წლამდე.
4. ამ მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი ძალადობით, რომელიც საშიშია სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის, – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან შვიდ წლამდე.
5. ამ მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი: ა) ჯგუფურად; ბ) არაერთგზის, – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან ათ წლამდე. შენიშვნა: ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებისათვის იურიდიული პირი ისჯება ჯარიმით ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით და ჯარიმით.

პატივისცემით,  
ზაზა ხატიაშვილი

ფრანგმა ადვოკატებმა ქართველ კოლეგებთან ერთად პროფესიულ გარანტიებზე იმსჯელეს



24 ივნისს სასტუმროში „Rooms Hotel Tbilisi“ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციისა და პარიზის ადვოკატთა ასოციაციის „12 მდივნის კონფერენციის“ ერთობლივი მრგვალი მაგიდა გაიმართა. შეხვედრაზე საქართველოში ადვოკატის პროფესიული გარანტიების დაცვის მექანიზმებზე იმსჯელეს და ადვოკატის უფლებების დარღვევის, პროფესიული უფლებამოსილების განხორციელებაში ხელისშეშლის ფაქტები განიხილეს.

შეხვედრაზე ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ზაზა ხატიაშვილმა კონკრეტული ადვოკატების უფლებების დარღვევის ფაქტებზე ისაუბრა. „12 მდივნის კონფერენციის“ საქმიანობის შესახებ პრეზენტაცია გააკეთა პარიზის ადვოკატთა ასოციაციის წევრმა მერაბ მურდულიამ.



## ადვოკატებმა მოსამართლეებთან და პროკურორებთან ერთად ერთობლივ ტრენინგში მიიღეს მონაწილეობა



ირიბი ჩვენებისა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებულ სტანდარტებზე ორდღიანი ერთობლივი ტრენინგი გაიმართა. ტრენინგი ევროპის საბჭოსა და ევროკავშირის ერთობლივი პროექტის “საქართველოში ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენება და ეროვნული კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის შესაბამისობაში მოყვანა ევროპულ სტანდარტებთან” ფარგლებში განხორციელდა და მიზნად ისახავდა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის გაზიარებას და არსებული გამოწვევების შესაბამისად, საერთო მიდგომების ჩამოყალიბებას. ტრენინგი საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს წევრმა დავით ასათიანმა, საქართველოს მთავარი პროკურორის მოადგილემ გიორგი გაბიტაშვილმა, საქართველოში ევროპის საბჭოს ოფისის ხელმძღვანელის მოადგილემ ანა ზეცმა, სააპელაციო სასამართლოს მოსამართლემ, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრმა ლევან თევზაძემ გახსნეს.

სასწავლო კურსს ევროპის საბჭოს მოწვეული ექსპერტები ჯერემი მაკბრაიდი და ნანა მჭედლიძე უძღვებოდნენ. ტრენინგის ფარგლებში მონაწილეებმა განიხილეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი, მტკიცების ტვირთი და მტკიცებულების ზოგადი სტანდარტები, ჯვარედინი დაკითხვა, ირიბი ჩვენება, უდანაშაულობის პრეზუმფცია, საპროცესო შეთანხმება და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.

ტრენინგი 2 დღე გრძელდებოდა და ის 36-მა მონაწილემ გაიარა. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციისთვის პრიორიტეტულია საქართველოში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სტანდარტების დანერგვა და ამ მიმართულებით მხარს უჭერს ადვოკატების, პროკურორებისა და სისტემის გამომძიებლების გადამზადების პროცესს.

## საქართველოს პრეზიდენტი ”ადვოკატთა ასოციაციის” კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა

შეუძლებელია სახელმწიფომ მოახერხოს დემოკრატიული სახელმწიფოს შენება თუ ამ სახელმწიფოში არ არის დაცული თითოეული ადამიანის უფლება, - ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა, გიორგი მარგველაშვილმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, “ადვოკატთა ასოციაციის” მიერ ორგანიზებულ კონფერენციაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

პრეზიდენტი თბილისში ჩამოსულ ყველა ადვოკატს მიესალმა. ქვეყნის პირველი პირის თქმით, მას მიაჩნია, რომ აღნიშნული კონფერენცია იქნება მნიშვნელოვანი როგორც ჩამოსული სტუმრებისთვის, ასევე საქართველოსთვის.



„საქართველოში ადვოკატის პროფესია უაღრესად მნიშვნელოვანია და “საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია” უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ჩვენი ქვეყნის განვითარების პროცესში. რეალურად, როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ საქართველოს მომავალზე, საუბარია მომავალზე დემოკრატიული ქვეყნისა, რომელშიც ადვოკატები თავიანთი პროფესიონალური სამუშაოთი, ინტელექტითა და მორალური სტანდარტებით არიან შემქმნელები და განმამტკიცებლები დემოკრატიული მმართველობისა და დემოკრატიული თანაცხოვრებისა“, - განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.

გიორგი მარგველაშვილის თქმით, ადამიანის უფლებების დაცვას ყოველდღიურ ცხოვრებაში ახორციელებს კონსტიტუციური წყობა, ხოლო ინდივიდუალურ და კონკრეტულ შემთხვევაში ამას აკეთებენ ადვოკატები, რომლებიც სერიოზულ ტვირთს იღებენ საკუთარ თავზე.

„თქვენ იცავთ მეორე ადამიანს და ამლევეთ მას შესაძლებლობას, რომ ჰქონდეს შეგრძნება, რომ სამართლებრივ სახელმწიფოში ცხოვრობს. რეალურად, თქვენ ურთულესი გამოწვევის წინაშე დგახართ, რადგან უნდა დაიცვათ ადამიანები, რომლებსაც ხშირად ჩაუდენიათ დანაშაული, რომლის წინააღმდეგაც ხშირ შემთხვევაში ორგანიზებული არის საზოგადოებრივი აზრი და შეიძლება ხშირად ფაქტები სწორედ ამ ადამიანის საწინააღმდეგოდ მოქმედებენ. მაგრამ ძალიან მნიშვნელოვან კონცეფციაზე დგას ამ დროს თქვენი საქმიანობა. არსებობს გარემოებები, რომელიც ყველაზე მძიმე დამნაშავესაც კი ამლევეს თავისი სიმართლის მტკიცების უფლება ჰქონდეს და რომ მისი უფლება იქნება დაცული“, - აღნიშნა საქართველოს პრეზიდენტმა.

## საერთაშორისო კონფერენცია დამოუკიდებელი, კვალიფიციური და ეთიკური ადვოკატის პროფესიისათვის



2016 წლის 20-21 ივნისს თბილისში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ადვოკატთა პროფესიული საქმიანობის დამოუკიდებლობის, ეთიკურობისა და კვალიფიკაციის შესახებ საერთაშორისო კონფერენცია მიმდინარეობს. კონფერენციას ქართული და საერთაშორისო ადვოკატთა ასოციაციების ოცდაათზე მეტი წარმომადგენელი ესწრება.

კონფერენციის ორგანიზატორია საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია, ევროპის ადვოკატთა ასოციაციებისა და სამართლის საბჭოსთან (CCBE) და ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან თანამშრომლობით.

კონფერენციის მხარდამჭერები არიან ევროპის საბჭო, ევროკავშირი და გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP).

კონფერენცია საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა გახსნა. მონაწილეებს სიტყვით მიმართეს: ზაზა ხატიაშვილი - საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე, კრისტიან ურსე - საქართველოში ევროპის საბჭოს ოფისის ხელმძღვანელი, შომბი შარპი - გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მოქმედი ხელმძღვანელი საქართველოში, შტეფენ შთორქი - ევროკავშირის წარმომადგენლობის პროექტების განყოფილების უფროსის მოადგილე, და ირაკლი ბურდული - ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დეკანი. ორი დღის განმავლობაში, კონფერენციის მონაწილეები ისაუბრებენ ადვოკატების საერთო გამოწვევებზე და მიმოიხილავენ ადვოკატთა საქმიანობის საუკეთესო პრაქტიკას სხვადასხვა ქვეყანაში. კონფერენციის დასასრულს შედგება ადვოკატთა მიერ შემუშავებული ერთობლივი დოკუმენტის წარდგენა, რომელიც შემდგომში გამოქვეყნდება, როგორც რეკომენდაციების კრებული ადვოკატთა პროფესიული გაერთიანებებისათვის. ადვოკატთა პროფესიული საქმიანობის გაუმჯობესების მეშვეობით შესაძლებელი გახდება მართლმსაჯულების ეფექტიანობისა და სამართლიანობის უზრუნველყოფა მონაწილე ქვეყნებში.



## ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარემ სტრასბურგში მჯდომარე აქცია გამართა



დღეს, 2016 წლის 17 ივნისს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ზაზა ხატიაშვილმა ქართველი ადვოკატების დევნის შეწყვეტის მოთხოვნით, ევროპის საბჭოს მთავარი შესასვლელის წინ მჯდომარე აქცია გამართა. ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ევროპელ დიპლომატებს მიმართავს საქართველოს ხელისუფლებას ქართველ ადვოკატებზე განხორციელებული ძალადობის ფაქტების გამოძიება და დამნაშავეთა დასჯა მოსთხოვონ. ევროპის საბჭოს მთავარ ოფისში 1000-ზე მეტი პირია დასაქმებული, ევროპის საბჭოს მთავარ ოფისში განთავსებულია ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის ოფისი.

ევროპის ადვოკატთა ასოციაციის პრეზიდენტმა მარია სლაზაკმა, მარსელა ბრასელმა, ალდო ბალგარელიმ, ხოს მარია-დავო ფერნანდესმა რამოდენიმეჯერ, ბოლო შვიდი წლის განმავლობაში მიმართეს საქართველოს ხელიუფლებას გამოძიებული ყოფილიყო ადვოკატებზე ზეწოლის და ძალადობის ფაქტები, მაგრამ საქართველოს ხელისუფლება სავარაუდო დამნაშავეებს ხელს აფარებს და თავისი უმოქმედობით ადვოკატების დევნას ახალისებს.

2016 წლის 17 ივნისის მჯდომარე აქცია ადვოკატთა კორპუსის ბრძოლის დასაწყისია, რომელიც ადვოკატების უფლებების დარღვევის ფაქტების გამოძიებას და დამნაშავეთა დასჯას ითხოვს.

9 ივნისიდან 12 ივნისამდე დაფიქსირდა ადვოკატებზე ზეწოლის სამი ფაქტი, რაც მიუთითებს ადვოკატების მიმართ განხორციელებული ძალადობის ახალ ტალღაზე. ზაზა ხატიაშვილი აცხადებს: „ჩემთვის წარმოუდგენელი იყო ის ფაქტი, რომ 2012 წელს სამართლიანობის აღდგენის მოთხოვნით მოსული ხელისუფლება არ გამოიძიებდა ადვოკატ ირინა სალინაძის მიმართ განხორციელებულ ძალადობის ფაქტს, რომელიც სასჯელადსრულების დაწესებულებაში სცემეს და გაუპატიურებით დაემუქრენ. ევროპის ადვოკატთა ასოციაციის პრეზიდენტმა მარსელა ბრასელმა 2012 წლის ნოემბერში პირადად მიმართა მაშინდელ იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანს (რომელიც იყო ასევე მთავარი პროკურორი) აღნიშნული ფაქტის გამოძიების მოთხოვნით. ახალმა ხელისუფლებამ, ადვოკატ ირინა სალინაძის მიმართ განხორციელებული ძალადობის ფაქტის დამალვით, საფუძველი ჩაუყარა ახალ ირინა სალინაძეებს, მაგრამ თვითონ მეც ვერ წარმოვიდგენდი პოლიციაში ბორკილებდადებული ადვოკატის წამების ფაქტს, რაც გიორგი მდინარაძესთან მიმართებაში მოხდა. არსად არ მსმენია სახელმწიფოს ხარჯზე დანიშნული ადვოკატი პოლიციაში ეწამებინოთ მხოლოდ იმიტომ, რომ არასრულწლოვანი დაცვის ქვეში მყოფ პირს განუმარტა უფლებები. ასევე არ მსმენია, რომ ის პირები ვინც ბორკილები დაადო ადვოკატ გიორგი მდინარაძეს მსახურობდნენ პოლიციაში. მოვუწოდებ საქართველოს ხელიუფლებას, გამოიძიოს ადვოკატებზე ძალადობის ყველა ფაქტი, წინააღმდეგ შემთხვევაში ადვოკატების პროტესტი შეუქცევად ხასიათს მიიღებს“.

## სასწავლო ცენტრი განხორციელებული ღონისძიებები

თბილისი:

- 6 ივნისი – სამეწარმეო სამართალი;
- 10, 11 ივნისი – ევროსასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულების მნიშვნელოვანი ასპექტები;
- 12, 13 ივნისი – ევროსასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულების მნიშვნელოვანი ასპექტები;
- 14 ივნისი – დისკრიმინაცია და მასთან ბრძოლის ეროვნული მექანიზმები;
- 15, 16, 17 ივნისი – არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება;
- 16 ივნისი – საგადასახადო სამართალი;
- 17 ივნისი – სახელშეკრულებო სამართალი;
- 24 ივნისი – ლტოლვილთა საერთაშორისო სამართალი;
- 25 ივნისი – ადამიანის უფლებათა დაცვის სამართლებრივი პროცედურები.

ბათუმი:

- 4 ივნისი – თავისუფლების და უსაფრთხოების უფლება;
- 5 ივნისი – თავისუფლების და უსაფრთხოების უფლება;
- 8 ივნისი – დისკრიმინაცია და მასთან ბრძოლის ეროვნული მექანიზმები;
- 10 ივნისი – ადამიანის უფლებათა დაცვის სამართლებრივი პროცედურები;
- 23 ივნისი – სახელშეკრულებო სამართალი;
- 27 ივნისი – ვადები დახანდაზმულობა სამოქალაქო სამართალში;
- 28 ივნისი – ვადები დახანდაზმულობა სამოქალაქო სამართალში.

ქუთაისი:

- 9 ივნისი – დისკრიმინაცია და მასთან ბრძოლის ეროვნული მექანიზმები;
- 11 ივნისი – ადამიანის უფლებათა დაცვის სამართლებრივი პროცედურები;
- 19, 20, 21 ივნისი – არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება;
- 22 ივნისი – სახელშეკრულებო სამართალი;
- 24 ივნისი – ვადები და ხანდაზმულობა სამოქალაქო სამართალში.

## სასწავლო ცენტრი მიმდინარე და დაგეგმილი ღონისძიებები

თბილისი:

- 4 ივლისი – მტკიცებულებათა მოპოვება დაცვის მხარის მიერ;
- 6, 7, 8 ივლისი – არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება;
- 8 ივლისი – დისკრიმინაცია და მასთან ბრძოლის ეროვნული მექანიზმები;
- 11 ივლისი – მტკიცებულებათა მოპოვება დაცვის მხარის მიერ;
- 15 ივლისი – მტკიცებულებათა მოპოვება დაცვის მხარის მიერ;
- 16 ივლისი – ადამიანის უფლებათა დაცვის სამართლებრივი პროცედურები;
- 18 ივლისი – მტკიცებულებათა მოპოვება დაცვის მხარის მიერ;
- 23 ივლისი – შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებები.



და მსხვერპლთა დაცვის მექანიზმები;

- 20ივლისი – მტკიცებულებათა მოპოვება დაცვის მხარის მიერ;
- 23ივლისი – ადამიანის უფლებათა დაცვის სამართლებრივი პროცედურები;
- 27ივლისი – მტკიცებულებათა მოპოვება დაცვის მხარის მიერ.

ზუგდიდი:

- 16ივლისი – შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებები;
- 19ივლისი – ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი), მის წინააღმდეგ ბრძოლა, რეფერირების სისტემა და მსხვერპლთა დაცვის მექანიზმები.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:

ტელ: 555070786 / 555010605 / 555007708

ელ. ფოსტა: education@gba.ge / sascavlocentri@gba.ge

სამუშაო საათებია 10:00-დან 18:00 საათამდე / შესვენება 14:00-დან 15:00 საათამდე.

მისამართი: ქ. თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. #33/36

## ეთიკის კომისია

28 ივნისს შედგა სამუშაო ჯგუფის პირველი შეხვედრა, რომელმაც უნდა შეიმუშაოს კანონპროექტი ადვოკატის საჩივრის განხილვის პროცედურებზე. ჯგუფის შემადგენლობაში შედიან ეთიკის კომისიის წევრები და საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის მოსამართლეები. ჯგუფის ფინანსურ მხადაჭერას უზრუნველყოფს EWMI-PROLOG-ის პროექტი „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ინსტიტუციონალური გაძლიერება.“

დაიგეგმა ეთიკის კომისიის წევრთა გასვლითი შეხვედრები ბათუმში და სამტრედიაში ევროსაბჭოსა და ევროკავშირის პროექტის დაფინანსებით.

დასრულდა ეთიკის კომისიის 2014-2016 წლების საქმიანობის გამოცემა, რომელიც ივლისში დაიბეჭდება ევროსაბჭოსა და ევროკავშირის პროექტის დაფინანსებით.

## საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი

1. სისხლის სამართლის საქმეებზე:

<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/2016w-sisxli-krebuli1-3.pdf>

2. სამოქალაქო სამართლის საქმეებზე

<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/2016w-samoqalaqo-krebuli1.pdf>

3. ადმინისტრაციულში სამართლის საქმეებზე

<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/2016w-administr-krebuli1.pdf>

### თბილისი

ძმ. ზუბალაშვილების ქ. N36

ტელ.: (+99532) 222 46 54

ელ. ფოსტა: [info@gba.ge](mailto:info@gba.ge)

სამუშაო საათები 10:00-18:00

შესვენება 14:00-15:00

### ქუთაისი

ნოდარ დუმბაძის ქ. N8

ტელ.: (0431) 247 247

ელ. ფოსტა: [info.qutaisi@gba.ge](mailto:info.qutaisi@gba.ge)

სამუშაო საათები 10:00-18:00

შესვენება 14:00-15:00

### თელავი

ვარდოშვილის 15

ტელ.: (0350) 272 015

ელ. ფოსტა: [info.telavi@gba.ge](mailto:info.telavi@gba.ge)

სამუშაო საათები 10:00-18:00

შესვენება 14:00-15:00

### ბათუმი

სარაჯიშვილის ქ. 22

ტელ.: (0422) 29 29 02

ელ. ფოსტა: [info.batumi@gba.ge](mailto:info.batumi@gba.ge)

სამუშაო საათები 10:00-18:00

შესვენება 14:00-15:00

### საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრი

ტელ: (+995 32) 2987878 / 555070786 / 555010605 / 555007708

ელ. ფოსტა: [education@gba.ge](mailto:education@gba.ge) / [sascavlocentri@gba.ge](mailto:sascavlocentri@gba.ge)

სამუშაო საათებია 10:00-დან 18:00 საათამდე

შესვენება 14:00-დან 15:00 საათამდე.

მისამართი: ქ. თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. #33